

## ფანტაზია თუ პათოლოგია? – რამდენიმე ფოლკლორული ტექსტის გაგებისათვის

ფოლკლორული ტექსტის ერთ-ერთი მთავარი თვისება და ფუნქცია გაზიარებაა – ზღაპრით, ანდაზით, სიმღერით, ლექსით ტკივილის, სიხარულის, გამოცდილების, ცოდნის გაზიარება.

ხალხურ ტექსტს ამოფარებულმა სუბიექტმა შესაძლებელია ის გამოცდილებაც გააზიაროს, რომელიც ერცხვინება, დასაგმობია, მაგრამ გადახდა, ჩაიდინა, იკადრა, თუმცა, ეძნელება დაიტიოს, შეინახოს, დამალოს. ხალხური ტექსტის საშუალებით ამოთქმა-გაზიარება კი ადვილია – ცნობილი ზღაპრის მგავსად, ამოთხრილ ორმოში ჩაძახილს ჰგავს. მთავარია ამოთქვას. ამოთქვამს და მოეშვება. ხალხური ტექსტის პირველი ავტორის გამოკვლევას არავინ დაიწყებს – იდენტიფიცირება შეუძლებელი იქნება. დრო განსაზღვრული არაა, როგორც ბერძნული ზღაპრები ამბობენ, ამბავი „ერთხელ და ერთ დროს“ (μια φορά και έναν καιρό) ხდება. არც ადგილია ადვილად მისაგნები – ცხრა მთა და ცხრა ზღვა უნდა გადაიარო. მოკლედ, დრო, სივრცე, ადგილი სამუდამოდ განუსაზღვრელი დარჩება. თან, ალიბი აქვს – „იყო და არა იყო რა“. მავანი ავთენტურ ტექსტს საკუთარ გამოცდილებას ან თავის გაგონილს შეჰმატებს, სხვა მისით თავს შეიქცევს და ტექსტში ესთეტიკასაც დაინახავს – თუნდაც, საშინელების ესთეტიკას.

„– რაზედ ზღაპრობდით?“ – აქტუალური კითხვაა არაცნობისმოყვარე ადამიანებისთვისაც.

„– წუთისოფლის ავ-კარგზედა“ – დამაინტრიგებელი პასუხია.

კითხვა-პასუხის ფორმულირება და სტილი იცვლება დროსთან ერთად, მაგრამ ზღაპრობა, თხრობა, ნარატივი კვლავ აქტუალური რჩება. და თუ ეს თხრობა ცხოვრების ავზე და კარგზეა, ლამაზთან და ამაღლებულთან ერთად, რასაკვირველია, მახინჯ და უხამსს ამბავსაც მოვისმენთ.

თუ ბერძნული მითოლოგიის ღმერთებს ვერ განვსჯით 21-ე საუკუნის მორალური კოდექსით, თუ მკითხველისათვის მისაღებია ეროტიკული ლირიკა და პროზა, თუ ჰორორი მსოფლიო ლიტერატურასა და კინემატოგრაფიაში ჩვეულებრივი და ჩვეული ამბავია, მაშინ რატომ უნდა გვეუცხოოს ხალხური ტექსტის სითამამე?

ფოლკლორული ტექსტის სპეციფიკა – ანონიმურობა, საავტორო უფლების პრინციპული არარსებობა, ტექსტის სინკრეტულად პრეზენტაციის შესაძლებლობა – დაუფარავად და მოურიდებლად თხრობის გარანტორია და სათქმელისა თუ ტვირთისგან გათავისუფლების საშუალებას იძლევა.

საჩოთირო მონათხრობს ყველა ინდივიდი თავისას უმატებს; ხდება ცოდვაში, შეცდომაში თანაზიარობა, რაც უკვე ტვირთს ამსუბუქებს – ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური პროცესია.

ზემოთქმულით იმის ხაზგასმა გვინდა, რომ ღირებულებითა თუ დეონტოლოგიურ მორალურ კატეგორიებთან შესაბამისობას ვერ მოვთხოვთ ნებისმიერ და ყველა ფოლკლორულ ტექსტს. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოებრივი მორალი იცვლება სხვადასხვა ეპოქასა და ხალხში, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

დიდი გზა განვლო ევროპული ზღაპრების 50-ზე მეტ ვერსიაში წარმოდგენილმა პერსონაჟმა, სანამ არცთუ ზნეობრივი ქალიდან ბებიის მოყვარულ საყვარელ გოგონად, შარლ პეროს წითელქუდად იქცეოდა. დღემდე ხდება ამ ზღაპრის ეპიზოდების ჰუმანიზება. ბავშვობაში დიდი მღელვარებით ვგულშემატკივრობდით მონადირეს, რომელიც მგელს მუცელს უჭრიდა. თანამედროვე მშობლის ამპლუაში კი, „წითელქუდას ზღაპრის“ თხრობისას, ყოველ ჯერზე ვტოვებთ სისხლისა და დანის, გაჭრისა და ამოფატვრის ეპიზოდს და თავგამოდებით ვამტკიცებდით, რომ მგელმა როგორც ჩაყლაპა, ისევე ამოყლაპა გოგონაცა და ბებიაც მონადირის დახმარებით, თან იმგვარად, რომ მცირედი ნაკაწრიც არცერთს დასტყობია.

ბევრს საუბრობენ ხოლმე ზღაპრების აღმზრდელობით ფუნქციაზე. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზღაპრები ყოველთვის არ იყო განკუთვნილი ბავშვებისათვის. უფროსების გასართობი ტექსტები მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში გადამუშავდა.

მეოცე საუკუნის 70-80-იან წლებში კი ევროპა ან ანტი-ზღაპრის განწყობაზე და აცხადებს, რომ „ბოროტება საბავშვო წიგნებიდან მოდის“, ძმები გრიმების „საბავშვო და საოჯახო ზღაპრებს“ ლამის საკონცენტრაციო ბანაკებზე აკისრებს პასუხისმგებლობას, ხან კი ზღაპრის ხელახალ აღმოჩენა-აღიარების გზაზე გამოდის სლოგანით: „ბავშვებს ზღაპრები სჭირდებათ“.<sup>1</sup>

ყველა ბავშვს უხარია, როცა უფლისწული იპოვის ფიფქიას, აკოცებს და აცოცხლებს. მეორე უფლისწული კი, ასევე კოცნით, ღრმა და ხანგრძლივი ძილისგან გამოაფხიზლებს მზეთუნახავს. არადა, უფლისწულის კოცნა, ორსავე ზღაპარში, არც მეტი, არც ნაკლები, ნეკროფილიაა, რაც ცნობიერების არმქონე ადამიანისადმი ლტოლვას გულისხმობს. ამ დეფინიციამ ერთ ბერძნულ ხალხურ სიმღერამდე მიგვიყვანა, რომლის შინაარსი შემდეგია: გოგონას სახელად ლენკოს, წალკოტში მარტო სძინავს. ვაშლისა და ციტრუსის ხეებს შორის მწოლიარეს ყელსა და ფეხებზე ყვავილები აყრია. თენდება, გოგონა იღვიძებს, დგება, სარკვეში იხედება და როცა თავის გადახსნილ მკერდს შენიშნავს, ტირილსა და ყვირილს იწყებს. გაოცებული

<sup>1</sup> გოგიაშვილი 2011, 359.

დედა მოულოდნელი ისტერიკის მიზეზს იკითხავს, ქალიშვილი მიუგებს, ღამით, ძილში ახალგაზრდა ბიჭს ჩავუკოცნივარო – «Μάνα μου, νιος με φίλησε στον ύπνο που κοιμόμουν»<sup>2</sup>

„მე არაფერ შუაში არა ვარ, მე მეძინაო“ – ასე განუცხადებს მეფის ცოლს პრინცესა ზღაპრიდან „მზე, მთვარე და ტალია“<sup>3</sup>, ოღონდ, ამ შემთხვევაში, ხელმწიფე მარტო კოცნით არ იფარგლება. აღნიშნული ტექსტი იტალიელი ჯამბატისტ ბაზილიეს „ევროპული ზღაპრების კრებულში“ 1636 წელს შევიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ თითქმის ორი საუკუნით წინ გაუსწრო გრიმების „მძინარე მზეთუნახავს“. ზღაპრის მიხედვით, მეფე ნადირობისას კოშკს გადააწყდება, სადაც ლეთარგიულ ძილში მყოფ პრინცესა ტალიას დააორსულებს. 9 თვის თავზე პრინცესას ტყუპები – მზე და მთვარე – გაუჩნდება. მეფე თავის სასახლეში მყოფ კანონიერ ცოლ-შვილს ახალი ცოლ-შვილით ჩაანაცვლებს. „ვინც იღბლიანია, ის ბედს ძილშიაც ეწევას“ – ასე ასრულებს ზღაპარს იტალიელი მწერალი და მეზღაპრე.

მსგავსი ნეკროფილური სიუჟეტი ქართულ ზღაპარში „ხელმწიფის ცოლი და მოღალატე ძალუა“<sup>4</sup> „წავიდა ხელმწიფე მეორე დღეს და ნახა კუბო. ახადა კუბოს, ჩახედა და ნახა, რომ მშვენიერი ქალი ასვენია. დაითხოვა თავის ნაზირ ვეზირები და დარჩა იმ ქალთან იმ ღამეს. ... გამოვიდა რამდენიმე ხანი. კიდევ წავიდა ეს ხელმწიფე იმ კუბოსთან, ახადა თავი და ნახა, რომ ვაჟი მისცემია მიცვალებულ ქალს და სწოვს მუძუს.“<sup>4</sup>

აი, ღია და აშკარა ნეკროფილური აქტი სხვა ქართული ხალხური ზღაპრიდანაც „მივიდა ქალის სახლში. ქალი გულდაღმა წევს. აიღო რკინის პალოები, ცხრა ნაწნავით დააკრა, დაჰკრა მუჭი პალოებს და დედამიწაში გაარბინა, ქალს მკლავები დაუკრა და ფეხებიც. მივიდა ყმაწვილი, ეხვია და კოცნა. როცა იყო, ქალმა გამოიღვიძა, შეინძრა, გაანძრია პალოები.“<sup>5</sup>

სექსოლოგიის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ნეკროფილია – მიცვალებულის მიმართ დაუძლეველი სქესობრივი ლტოლვა – გვხვდება ძალზე იშვიათად და მხოლოდ მამაკაცებში.<sup>6</sup> უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ნეკროფილები, ძირითადად, ის მამაკაცები არიან, რომლებიც ბავშვობაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ. მძინარე ან უგონო ადამიანი, სექსუალური კონტაქტისას მათში საფრთხის შეგრძნებას არ აღძრავს, მიცვალებული კი უსაფრთხოების შეგრძნების უფრო მყარი გარანტიაა.

<sup>2</sup> Κόρη κοιμόταν, ευρέθη φιλημένη – Πετρόπουλος 1959, 79.

<sup>3</sup> იხ. Giovan Battista Basile, 2016.

<sup>4</sup> უმიკაშვილი 1964, 49. იხ. კვერცხიშვილი 2007.

<sup>5</sup> უმიკაშვილი 1964, 32.

<sup>6</sup> სექსოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი 2013.

ზღაპრებისგან განსხვავებით, ნეკროფილური ტენდენციების გამოვლინება უფრო იშვიათია სხვა ფოლკლორულ ტესტებში. ამიტომაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება ერთმა ბერძნულმა ხალხურმა სიმღერამ:<sup>7</sup>

δένω κι εγώ το γρίβα μου σε μαυρομάτας μνήμα  
...მეც მივაბი ჩემი ცხენი შავთვალეზას საფლავზე  
κι ο γρίβας ήταν ποτηρός πολὺ ποτηρεμένους  
და ცხენი იყო ძალიან ეშმაკი, ძალიან მოხერხებული,  
κι ἔσκαψε με τα νύχια του και με τα πέταλά του  
და ამოთხარა ფლოქვებით (ფრჩხილებით) და ნალებით  
και βγήκε η κόρη μελαψή και βγήκε η κόρη μαύρη  
და ამოვიდა (გამოჩნდა) ასული მუქი (შავგრემანი),  
ამოვიდა ასული შავი  
σταυρό κρατεί στα χέρια της βαγγέλιο στην ποδιά της...  
ჯვარი უჭირავს ხელში და ფეხებთან აქვს ევანგელე...

შემზარავი სურათის წარმოდგენის შემდეგ, ძნელია არ გაგიჩნდეს მოლოდინი, რომ ახალგაზრდა მამაკაცი ცხენს სხვაგან გადააბამს და მიცვალებულს კვლავ მიწას მიაბარებს, მაგრამ სიმღერის გაგრძელება კიდევ უფრო საზარელ სურათს წარმოგვიდგენს:

φιλώ και 'γώ τη μελαψή στα μάτια και στα φρύδια  
... ვკოცნი მეც შავგრემანს თვალებსა და წარბებზე...

ნიკოს პოლიტისი, ბერძნული ხალხური სიმღერების კლასიფიცირებისას, ნეკროფილური ეპიზოდების შემცველ ტექსტებს აკრიტული სიმღერების ჯგუფს მიაკუთვნებს,<sup>8</sup> ერთობ დელიკატურ სახელს უძებნის და პანთასილეს, იმ ლამაზი ამორძალის სახელს არქმევს, რომელმაც აქილევსის ხელებში დალია სული.

ჩვენ არ შევჩერდებით სიყვარულისა და სიკვდილის, ქორწინებისა და სიკვდილის მითიურ კავშირზე, თუმცა, ხაზგასასმელია, რომ სიყვარულისა და სიკვდილის დაკავშირება კლასიკურ ლიტერატურაშიც ხშირად გამოიყენება, როგორც მხატვრული გამოხატვის მეთოდი. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს დოსტოევსკის „იდიოტი“, ბოდლერის „ლემი“, ანდა ედგარ პოს „ანაბელ ლი“:

<sup>7</sup> KEEA 1929, χ/φο 968, 492-493.

<sup>8</sup> იხ. Πολίτης 1996.

და ასე, ღამეში, ჩემს ძვირფას საცოლეს,  
სიცოცხლეს, სიყვარულს ცივს,  
ვუწევარ გვერდით მის შავზნელ აკლდამაში -  
ეს მოხდა დიდი ხნის წინ.<sup>9</sup>

ხალხურ ტექსტებში მიცვალებულის ალერსის მსგავსი დოზებით არსებობას თვითონ ფოლკლორის სპეციფიკა განაპირობებს, ესაა, ერთი მხრივ, სტატიის დასაწყისშივე გამოკვეთილი „გაზიარების საჭიროება“, და მეორე მხრივ, მძაფრი და მოულოდნელი ემოციის აღძვრის აუცილებლობა – ანუ, ფსიქოლოგიური, ჟანრობრივ-სტილისტური და სოციალური ფაქტორები. მიცვალებულის კოცნით მისი გაღვიძება-გაცოცხლება, მიცვალებული ქალის დაფეხმძიმება და შვილოსნობა კი ხალხის სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დაუოკებელ სურვილად შეიძლება მივიჩნიოთ.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

გოგიაშვილი, ელენე. 2011. *ზღაპრის გმირი – „უთვისებო კაცი“*, ჟურნალში კადმოსი 3. 350-356.

უმიკაშვილი, პეტრე. 1964. *ხალხური სიტყვიერება*, ტომი III. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება.

კვერცხიშვილი, ზაზა. 2007. *უფლისწულისა და მზეთუნახავის შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა*, ჟურნალში ლიტერატურული მიეზანი, #28, მითოსი, რიტუალი, სიმბოლო. თბილისი.

პო, ედგარ ალან. თ.გ. *ანაბელ ლი*. მთარგმნელი შოთა იათაშვილი. ლიტკლუბი – ელექტრონული გამოცემა, ხელმისაწვდომია: <http://biblioteka.litklubi.ge/view-nawarmoebi.php?id=8554> (წვდომის თარიღი: 22.01.2021)

*სექსოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი*. 2013. ნეკროფილია. ხელმისაწვდომია სამედიცინო ინტერნეტ-პორტალზე: [https://www.medgeo.net/2013/01/28/%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-2/?fbclid=IwAR02ukFj51dCG2YH6442zLfFezje69abqYPnTRDHxf4CgcKTQ\\_mTYboBIQA](https://www.medgeo.net/2013/01/28/%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-2/?fbclid=IwAR02ukFj51dCG2YH6442zLfFezje69abqYPnTRDHxf4CgcKTQ_mTYboBIQA) (წვდომის თარიღი: 22.01.2021)

---

<sup>9</sup> პო, შოთა იათაშვილის თარგმანი.

Giovan Battista Basile. 2016. *Sun Moon & Talia*. by William Le'shon (Author, Introduction, Translator).

ΚΕΕΛ, 1929, *χ/φο 968*, Ζέρζοβα Γορτυνίας, καταγραφή Χ. Σακελαιάδης. Β. Σακελλαριάδης.

Πετρόπουλος, Δημήτριος. 1959, *Ελληνικά Δημοτικά τραγούδια*, τόμος Β', Αθήνα.

Πολίτης, Γ. Νικόλαος. 1996. *Δημοτικά Τραγούδια, Εκλόγαι από τα Τραγούδια του Ελληνικού Λαού*, Αθήνα.